



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარანი



მარანი, 1. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ნაგებობა. „საღვინე სახლი“. ხალხურმა ტრადიციამ საქართველოში დღემდე შემოინახა 2 სახის მარანი: დახურული და ღია.

კახური მარანი

დახურული მ. უპირატესად აღმ. საქართველოშია გავრცელებული. მარანშივცა ჩაფლული ქვევრები. აქვე ინახავენ მეღვინეობის ინვენტარს, წურავენ ყურძენს, აყენებენ და ინახავენ ღვინოს. ამგვარი მ. კარგადაა შეხამებული აღმ. საქართვ. ბუნებრივ პირობებთან: შენობა იცავს ღვინოს ზამთარში ყინვისაგან, ზაფხულში – სიცხისაგან. ქართლ-კახური მ. მოქცეულია საცხოვრებლის კომპლექსში – ორსართულიანი ქვიტკირის სახლების პირველ სართულზე. ძველად ქართლში დარბაზული სახლის ერთ-ერთ კომპონენტს ხშირად მ. შეადგენდა. მარნიანი დარბაზული სახლები ქვემო ქართლში, თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში დღემდეა შემორჩენილი. ურბნისის ტერიტორიაზე მრავლადაა გათხრილი VI-VIII სს. ალიზით ნაგები ბანიანი სახლები, რ-ებსაც უშუალოდ ებმის მ-ები. ქართლ-კახეთში ტრად. მ. გამოირჩევა კედლის ლამაზი წყობით, წინა მხრიდან კედლებში ჩაყოლებული აგურის ჯვრებითა და ზოლებით, თალიანი შესასვლელითა და მასიური ორფრთიანი კარით. მ-ს 2 ნაწილად ყოფს თაღებიანი კედელი ან მდიდრულად მოჩუქურთმებული ბალიშიანი დედაბოძი. მ-ის უკანა ნაწილში ყურძნის დასაწური განყოფილებაა. კედელთან, მთელ სიგრძეზე, მიშენებულია ქვიტკირის საწნახელი, ჩვეულებრივ ორგანყოფილებიანი.

ღია მ. ძირითადად დას. საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ქვევრები ღია ცის ქვეშ, მიწაშია ჩაყრილი, შემოკავებულია შქერის ღობით და დაჩრდილულია ვაზის ტალავრით ან კომპის ხეებით. მ-ის ეს ტიპი კარგად მიესადაგება დას. საქართვ. ჰავისა და ნიადაგის

ჭარბტენიანობას. აქ დახურულ მ-ში ღვინის შენახვა საზიანოცაა. დახურული მ. მხოლოდ დას. საქართვე. მთიან მხარეებში გვხვდება.

მ., სადაც ზედაშე (შესაწირი ღვინო) ინახებოდა, ხალხში წმინდა ადგილად მიიჩნეოდა და იქ სრულდებოდა რიტუალები და წეს-ჩვეულებანი (მ-ის საახალწლო მილოცვა, ჭურისთავის შემოლოცვა, აგუნას დაძახება, ზედაშეს შესმა, ქორწილისა და ნათლობის ზოგიერთი რიტუალი და სხვ.).

2. რთული შედგენილობის კერამ. სასმისი. გავრცელებული იყო უმთავრესად ქართლ-კახეთსა და იმერეთში. სასმისის ზედა ნაწილში შემომწკრივებულია ათამდე ჭინჭილა. ერთ-ერთი მათგანი ღვინის ჩასასხმელია, საიდანაც ყველა სასმისი თანაბრად ივსება, სასმისის წინა მხარეს ყოჩის თავი კი მ-ის პირია. სასმისი ჭურ-მარანს განასახიერებს. ეთნოგრ. მონაცემების მიხედვით, მ. ქორწილში რიტუალურ სასმისად იხმარებოდა, ძვ. ქართ. ქორწილის კომპლექსში შედიოდა და ნაყოფიერების სიმბოლო იყო. ტრად. სასმისი მ. აღდგენილია თანამედროვე კერამ. წარმოებაში და კვლავაც აქტიურად გამოიყენება.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; თ ო ფ უ რ ი ა ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), თბ., 1978; ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

ა. ლეკიაშვილი
